

**კონკურსი სამოქალაქო (საპროექტო/სარემონტო) სამუშაოების და ავეჯის
შესასყიდად**

FSM-2026-01-02

სოლიდარობის ფონდი PL ეძებს კომპანიას, რომელიც გაგვიწევს ხარისხიანი სამოქალაქო სამუშაოების მომსახურებას და უზრუნველყოფს საოფისე ავეჯის მოწოდებას ციფრული სასოფლო ჰაბების მოსაწყობად (DRHs) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის, გურიის, იმერეთისა და, შესაძლოა, კახეთის რეგიონებში.

სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელსაც „სოლიდარობის ფონდი პლ“ (SFPL) 2023 წლის 1-ლი დეკემბრიდან ახორციელებს ესტონელ პარტნიორთან - „e-Governance Academy“-თან (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული უთანასწორობის შემცირებას კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ციფრული წიგნიერების განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში, საქართველოს 200-მდე სოფელში საჯარო სივრცეებში განთავსდება ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმნება ციფრული სასოფლო ჰაბები.

პროექტის გუნდი გეგმავს დაახლოებით **15 (თხუთმეტი) ციფრული სასოფლო ჰაბის (DRHs)** მოწყობას რაჭის, გურიის, იმერეთისა და შესაძლოა, კახეთის რეგიონების სოფლებში. DRH მოეწყობა თითოეული სოფლის საზოგადოებრივი/მუნიციპალური ან სხვა არსებული შენობის დაახლ. 30 კვადრატული მეტრის ფართობის ოთახში (შესაძლებელია საჭირო გახდეს სველი წერტილის რეაბილიტაცია). შერჩეული ოთახები, რომლებიც განკუთვნილი იქნება DRH-ების მოსაწყობად, საჭიროებს სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოებს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ჰაბების ფუნქციონირების კრიტერიუმებთან. გარდა ამისა, DRH-ები უნდა იყოს ადჭურვილი ავეჯით, რომლის ზომები სპეციალურად იქნება მორგებული ჰაბებისთვის შერჩეულ ოთახებს. შესასრულებელი სამოქალაქო სამუშაოები მოიცავს: არქიტექტურული შეფასებას, საპროექტო სამუშაოებს, არსებული ინტერიერის დემონტაჟსა და რეაბილიტაციას (შემდგომში მოხსენიებული, როგორც "სამოქალაქო სამუშაოები")

გარდა ამისა, DRH-ები ადჭურვილი უნდა იყოს შერჩეული ოთახების ზომებიდან გამომდინარე, შესაბამისი ავეჯით.

მოთხოვნილი სერვისი: (ა) მაღალი ხარისხის არქიტექტურული შეფასების, (ბ) საპროექტო სამუშაოების, (გ) არსებული ინტერიერის დემონტაჟის, (დ) სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და (ე) ავეჯის უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია დაახლოებით 15 DRH-ის მოსაწყობად რაჭის, გურიის იმერეთისა და/ან კახეთის რეგიონის სოფლებში არსებულ საზოგადოებრივი/მუნიციპალურ ან სხვა შენობებში.

შენიშვნა: ჰაბისთვის შერჩეული სივრცე, შეიძლება საჭიროებდეს ერთი, რამდენიმე ან ყველა ზემოთჩამოთვლილი სერვისის გაწევას.

1. დავალების შესრულების ადგილ(ებ)ი

ციფრული სასოფლო ჰაბების (DRHs) მოსაწყობად შერჩეულია შემდეგი რეგიონები:

- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
- გურია
- იმერეთი
- კახეთი

**აღნიშნულ რეგიონებში კონკრეტული სოფლები და შენობები შეირჩევა და არქიტექტურულად შეფასდება გამარჯვებულ კანდიდატთან თანამშრომლობის საფუძველზე.*

2. დავალების ხანგრძლივობა

მოთხოვნის შესაბამისად, 2026-2027 წლის განმავლობაში, 2027 წლის 30 ნოემბრამდე.

3. ობიექტისა და შესასრულებელი სამუშაოს აღწერა

შერჩეული აპლიკანტი ვალდებულია ჩავიდეს ადგილზე, რათა შეაფასოს პროექტის გუნდის მიერ წინასწარ შერჩეული შენობა-ნაგებობა, შეისწავლოს DRH-ის მოწყობისთვის გამოყოფილი ოთახი და მოამზადოს არქიტექტურული შეფასების დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში უნდა გაერთიანდეს შენობის, სარემონტოდ განკუთვნილი სივრცის დეტალური აღწერა და სამუშაოების სრულყოფილი ჩამონათვალი (მათ შორის: საპროექტო სამუშაოები, არსებული ინტერიერის დემონტაჟი და რეაბილიტაცია). დოკუმენტი უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს გამოსაყენებელი მასალების შესახებ. დამატებით, დოკუმენტში უნდა იყოს წარმოდგენილი ავეჯის ჩამონათვალი და მათი ზომები, სპეციალურად მორგებული DRH-ებისთვის განკუთვნილ ოთახებს.

დოკუმენტის მომზადებისა და შეთანხმების შემდეგ, შერჩეული აპლიკანტი შეასრულებს სარემონტო სამუშაოებს, მათ შორის: არსებული ინტერიერის დემონტაჟის, სარეაბილიტაციო და ავეჯის უზრუნველყოფის ამომწურავ და კონტრაქტორთან შეთანხმებულ ჩამონათვალს, შეთანხმებული ხარისხითა და ვადების დაცვით.

DRH-ებისთვის ავეჯის ჩამონათვალი მოიცავს:

- კომპიუტერის მაგიდას
- პრინტერის მაგიდას
- ოფისის სავარძელს
- რბილი დივანს
- კარადას
- ოთახებს.

**ავეჯის რაოდენობა და ზომები დამოკიდებული იქნება შერჩეული ოთახის ზომაზე.*

შენიშვნა: შერჩეულ აპლიკანტს მოეთხოვება წარმოადგინოს დოკუმენტირებული მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მის შესაძლებლობას, გასწიოს ყველა მითითებული მომსახურება პირდაპირ ან სათანადოდ დაქირავებული სუბკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით (მაგ., ავეჯის მიწოდება, არქიტექტურული შეფასება).

4. გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები

4.1 მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება სამშენებლო (საპროექტო/სარეაბილიტაციო) სამუშაოების სფეროში (რომელიც დადასტურდება პორტფოლიოს ან გამოცდილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენით);

4.2 შერჩეულ სოფლებში მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად აუცილებელი ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობა. დასადასტურებლად, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ **სამუშაო გუნდის აღწერის ფაილი**.

4.3 ციფრული სასოფლო ჰაბების (DRHs) მოსაწყობად შერჩეული ოთახების შესაბამისი ზომის ავეჯით აღჭურვის შესაძლებლობა;

4.4 ტენდერით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა;

ის შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოცემულ თავში ჩამოთვლილ მინიმალურ მოთხოვნებს, გამოეთიშებიან კონკურსს.

5. დამატებითი მოთხოვნები საუკეთესო წინადადების შესარჩევად (მაქს. 120 ქულა)

5.1 სამოქალაქო (საპროექტო/სარემონტო) სამუშაოების სფეროში საქმიანობის გამოცდილება (მაქს. 10 ქულა)

- 5 წელზე ზემოთ - 10 ქულა;
- 3-დან 5 წლამდე - 5 ქულა;
- 3 წელი - 2 ქულა.

5.2 მომსახურების ღირებულება (მაქს. 20 ქულა)

„მომსახურების ღირებულების“ კრიტერიუმით შეფასება დაეფუძნება შემდეგ ფორმულას:

$$P = P_{min} / P_{of} \times 20 \text{ ქულა}$$

სადაც:

P_{min} - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

P_{of} – ფასი წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ევროში, დღგ-ს გარეშე და უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რომელიც ფარავს როგორც არქიტექტურული შეფასების მომზადებას, ასევე სამოქალაქო სამუშაოების შესრულებას, კერძოდ საპროექტო სამუშაოები, არსებული ინტერიერის დემონტაჟი, სარეაბილიტაციო სამუშაოები, სამშენებლო მასალები და აღჭურვილობა, ტრანსპორტირება, ავეჯი და სხვა.

ამასთან, სატენდერო კომისია გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ რადგან პროექტის გუნდის მიერ ჰაბების შერჩევის პროცესი ჯერ არ დასრულებულა, აპლიკანტების მიერ შემოთავაზებული

ხარჯები შეფასდება საბაზრო ფასების (და არა ჰაბების ინდივიდუალური სპეციფიკაციების) მიხედვით. პრიორიტეტი მიენიჭება შემოთავაზებულთაგან ყველაზე ზუსტ და მდგრად ფასს, რომელიც შეესაბამება პროექტის ბიუჯეტს.

5.3 მომსახურების გაწევის ვადა (მაქს. 30 ქულა)

(შეფასება დაეფუძნება ერთ სოფელში ერთი DRH-ის მოსაწყობად შემოთავაზებულ ვადებს, რაც უნდა იყოს ადეკვატური და მინიმალური საჭირო სამშენებლო სამუშაოების საფუძვლიანად და ხარისხიანად შესრულებისთვის. ცალკეული ვადები შემოთავაზებული უნდა იყოს ერთი ჰაბის სრულად მოსაწყობად ავეჯის მიწოდების ჩათვლით).

- შეთანხმების ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღე - 30 ქულა;
- შეთანხმების ხელმოწერიდან 21-25 კალენდარული დღე - 20 ქულა;
- შეთანხმების ხელმოწერიდან 26-30 კალენდარული დღე - 10 ქულა;

5.4 სამუშაოს განხორციელებისას გამოსაყენებელი სამშენებლო მასალებისა და ავეჯის ხარისხი კონკურენტული ფასის შენარჩუნების პირობით (მაქს. 20 ქულა)

(შეფასება დაეფუძნება შემდეგ სქემას: სპეციფიკაციების გარეშე ან/და დაბალი ხარისხი – 0 ქულა; სტანდარტული ხარისხი კონკურენტული ფასის შენარჩუნების პირობით (ბაზისური) – 10 ქულა; საშუალო ხარისხი კონკურენტული ფასის შენარჩუნების პირობით - 15 ქულა; მაღალი ხარისხი კონკურენტული ფასის შენარჩუნების პირობით (პრემიუმი) – 20 ქულა).

5.5 საგარანტიო პირობები (მაქს. 20 ქულა)

(შეფასდება შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობების დეტალური აღწერის მიხედვით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოვლენილ ტექნიკურ ხარვეზებზე რეაგირების სერვისებისა და პრობლემის აღმოფხვრის ვადების შესახებ.)

შემოთავაზებული საგარანტიო ვადა:

- გარანტია 5 და მეტი წელი - 10 ქულა
- გარანტია 3-დან 5 წლამდე - 5 ქულა
- გარანტია 1-დან 3 წლამდე - 2 ქულა

შემოთავაზებული რეაგირების ვადა ხარვეზის/პრობლემის აღმოჩენიდან:

- 0-5 კალენდარული დღე - 10 ქულა
- 6-15 კალენდარულ დღე - 5 ქულა
- 15 კალენდარულ დღეზე მეტი - 0 ქულა

**აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინეთ სააპლიკაციო ფორმაში.*

5.6 გასაუბრება (მაქს. 20 ქულა)

*გასაუბრების პროცესში მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული აპლიკანტები. გასაუბრების მიზანია შეაფასოს მოთხოვნილი სამუშაოს შესრულების უნარი. ინტერვიუს ფარგლებში, მოლაპარაკებების საფუძველზე, შეირჩევა საუკეთესო შეთავაზება.

შეფასება მოხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- პროექტის ბიუჯეტთან შესაბამისი მოქნილი ფასების შემოთავაზების შესაძლებლობა-5 ქულა;
- სამუშაოს დათქმულ ვადაში შესრულება გარანტიები 5 ქულა;
- საპროექტო გუნდის შესაძლებლობები (შემოთავაზებული გუნდების შესაძლებლობა იმუშაოს ერთდროულად რამდენიმე ჰაბზე, მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება) - 10 ქულა.

6. ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება გამარჯვებულ აპლიკანტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. მოთხოვნილი დოკუმენტაცია

7.1 **ფისკალური განაცხადი** შევსებული ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში.

7.2 **აპლიკაციის ფორმა** შევსებული ქართულ ან ინგლისურ ენაზე ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში.

7.3 **დანართი 1** Microsoft Excel ფორმატში, რომელიც უნდა მოიცავდეს 5.2, 5.3 და 5.4 მუხლებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

7.4 **სამუშაო გუნდის აღწერა** (არაუმეტეს 1 გვერდისა) - პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი, რომელიც აღწერს გუნდს (პროექტის ფარგლებში მათი პროფესიების აღწერილობასა და სამუშაო გრაფიკს), რომელიც ადასტურებს ტექნიკურ და პროფესიულ შესაძლებლობებს არქიტექტურული შეფასებისა და სამშენებლო სამუშაოების (დაგეგმვა, დემონტაჟი და რეაბილიტაცია) ჩასატარებლად, ასევე, ავეჯის მიწოდების შესაძლებლობას; პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც წარმოაჩენენ ერთდროულად რამდენიმე ჰაბზე მუშაობის უნარს.

7.5 **ორი სარეკომენდაციო წერილი** ყოფილი ან არსებული კლიენტების მიერ მოწოდებული საკონტაქტო ინფორმაციით, რომელიც ადასტურებს მოთხოვნილი დავალებების შესრულების ტექნიკურ და პროფესიულ შესაძლებლობებს.

7.6 **პორტფოლიო**, დოკუმენტი, რომელიც აღწერს სამშენებლო-სარემონტო გამოცდილებებს. (მიღებული იქნება პრეტენდენტების მიერ შერჩეული ფორმატი);

7.7 **დამატებითი დოკუმენტები** (არასავალდებულო) - მასალის ხარისხის, გამოცდილებისა და შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები;

8. განაცხადის შეტანა

განაცხადი ტენდერში მონაწილეობაზე წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად გამოგზავნის გზით, არაუგვიანეს 2026 წლის 1-ლი მარტისა, ვარშავის დროით 23:59 საათამდე, შემდეგ მისამართზე: redi@solidarityfund.pl

კითხვები ტენდერთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვწეროთ მისამართზე redi@solidarityfund.pl საბოლოო ვადის გასვლამდე.

კითხვა-პასუხის ონლაინ სესია მოეწყობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის შემდეგ ბმულზე:

9. ხელშემკვრელი ორგანო არ მიიღებს ტენდერის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას/კითხვას.

10. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება Solidarity Fund PL ვებგვერდზე: www.solidarityfund.pl

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

11. შერჩეულ კონტრაქტორთან/კონტრაქტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

12. კონტრაქტორ(ებ)ს, რომლის ტენდერიც ჩაითვლება ყველაზე უპირატესად, იქნება ინფორმირებული ხელშემკვრელ ორგანოს მიერ ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

13. ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესავსებად, ხელშემკვრელ ორგანოს მოთხოვნით.

14. თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება ჩაითვალა ყველაზე უპირატესად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, ხელშემკვრელ ორგანოს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგი დარჩენილი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

15. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი ავტორიზაცია არ დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

16. სოლიდარობის ფონდი პლ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

17. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს

ვარშავაში, ქუჩა Tadeusza Czackiego 7/9/11 Str., 00-043 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL, Tadeusza Czackiego 7/9/11 Str., 00-043 ვარშავა, პოლონეთი. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს პირდაპირ მისამართზე iod@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.